ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N0233/451

ქ. თელავი 29 თებერვალი 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის პეტრე კიკნაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „თელავის ინფრასტრუქტურის და უზრუნველყოფის სამმართველო", დირექტორის ალექსი ბალუაშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ქ. თელავში გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა და აგროღონისძიებების ჩატარების მომსახურეობის შესყიდვა. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 45100000– ადგილის/სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაო/გამწვანების სამუშაო. დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი. 10² მეტრი, მე-3 ეტაპი, „ბ" ქვეეტაპი

2.ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი" ვალდებულია განახორციელოს ქ. თელავში გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა და აგროღონისძიებების ჩატარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების მიწოდების ვადაა 2012 წლის 29 თებერვლიდან 2012 წლის 1 აპრილამდე.

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

4.2. „შემსყიდველი" ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს" წუნის შესახებ.

4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარამეტრებს. პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.

4.4. „შემსყიდველს" უფლება აქვს მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

4.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;

4.6. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. "შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4167 (ოთხი ათას ას სამოცდაშვიდი) ლარს. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათალისწინებულ ყველა გადასახადს.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების სრული გადახდა ხდება „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე არაუმეტეს 10 დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული მომსახურების სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.3 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საავანსო ანგარიშწორება

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2012 წლის 1 აპრილამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თელავის მუნიციპალიტეტი ს/კ 231280093 ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16	შპს „თელავის ინფრასტრუქტურის და უზრუნველყოფის სამმართველო" თელავი, ქ. წამებულის №3ა ს.კ. 231170675 ა/ა 3602012306 ბანკის კოდი TBCBGE22 ს.ს. „თიბისი ბანკის" თელავის ფილიალი
გამგებელი პეტრე კიკნაძე	
„შემსყიდველი" _____	„მიმწოდებელი" _____